ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N16

ქ.თბილისი 30 მარტი, 2018 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: მარიკა დარჩია
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: დავით უჯმაჯურიძე

საკრებულოს წევრები:

მიხეილ ამაშუკელი
რამინა ბერაძე
გიორგი გაბაშვილი
ოთარ გრიგოლია
ბექა დავითულიანი
ლევან დარახველიძე
თევდორე ისაკაძე
ლილე ლიპარტელიანი
თინათინ ნიბლოშვილი
ელენე ოზაშვილი
დათო ჟღენტი
რევაზ სოხაძე
დავით უთმელიძე
დავით ჭელიძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ლევან ჯაფარიძე
ლევან ხაბეიშვილი
ლევან არველაძე
გიორგი ბირბიჩაძე
გულია გოცირიძე
ლევან დავითაშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ირაკლი ზარქუა
ფრიდონ ინჯია
ერეკლე კუხიანიძე
ნინო ლაცაბიძე
შალვა ოგბაიძე
ლევან ჟორჟოლიანი
დათო რურუა
თამარ ტალიაშვილი
ვახტანგ შაქარიშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ვლადიმერ ძნელაძე
ქეთევან ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი მაკა ნასრაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელი თამარ მათიაშვილი;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ეკა ცეცხლაძე;

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი თამარ კაციტაძე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა.

ბექა დავითულიანმა ისაუბრა გენ.გეგმაზე და განაცხადა, რომ სამწუხაროდ, მოხდა თბილისის საჭიროებებისთვის აუცილებელი თემის პოლიტიზირება და მოგვიწია საკითხის არა შინაარსობრივი და საგნობრივი განხილვა, არამედ პოლიტიკურ კონტექსტში გადატანა. მისი თქმით, მთავარია მიღწეული იქნას რამდენიმე მიზანი: ქალაქმა მიიღოს ხარისხობრივად მაღალი გენერალური გეგმა, ქალაქმა ეს შეძლოს მაქსიმალურად შემჭიდროვებულ ვადებში და ეს გენ.გემა იყოს ისეთი, რომელიც იმუშავებს და მასში ასახული გადაწყვეტილებები იქნება რეალიზებული. ბექა დავითულიანმა აღნიშნა, რომ „ჩვენ ამ ყველა კომპონენტს დავაკმაყოფილებთ“ და ორშაბათს გამოცხადდება ქალაქისთვის ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება, რის შემდეგაც დაიწყება მუშაობა გენ.გეგმის დახვეწაზე და განახლებაზე.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ გენ.გემა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის და კარგი იქნება, თუ ის იქნება დროში დაჩქარებული. განაცხადა, რომ ქალაქს გენ.გეგმა სჭირდება იმისთვის, რომ დედაქალაქში აღარ გაგრძელდეს მაღალი თანამდებობის პირების მიერ საკუთარი უფლებამოსილების გამოყენება სხვადასხვა მიმართულებით და ვიწრო პარტიული, თუ კერძო ინტერესების განხორციელება და სხდომაზე წარადგინა 300 არაგველის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც გაცემულია სპეციალური ზონალური შეთანხმება, გაზრდილია კოეფიციენტი და დაინტერესებული პირები არიან „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი და მისი შვილი. ლევან ხაბეიშვილმა აქვე განაცხადა, რომ ფინანსთა სამინისტროს ჯანდაცვის საქალაქო სამსახურთან დაკავშირებით აღძრული აქვს საქმე და კარგი იქნება, თუ სამსახურის უფროსს დროებით შეუჩერდება უფლებამოსილება და აიღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას. ასევე, დაინტერესდა, თუ რა პოზიცია აქვს საკრებულოს უმრავლესობას ლევან გაჩეჩილაძისთვის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხული 30000 ლარის შესახებ მაშინ, როდესაც ამ მიმართულებით უამრავი გაჭირვებული ადამიანი ვერ იღებს დახმარებას და რამდენად ადეკვატურად მიაჩნია ქალაქის მერის მილანში მივლინებაში გამგზავრებას პოტენციურ ინვესტორთან შეხვედრის მიზნით, იმის გათვალისწინებით, რომ მივლინებიდან დაბრუნებულმა არ დაასახელა პოტენციური ინვესტორის ვინაობა.

გიორგი გაბაშვილმა აღნიშნა, რომ გენ.გეგმის განხილვასთან დაკავშირებით, სხვა შეხვედრებთან შედარებით, გუშინ, პირველად გაიმართა შედარებით საქმიანი შეხვედრა, სადაც „სითი ინსტიტუტმა“ წარადგინა თავისი ნამუშევარი და იყო შესაძლებელობა მოგვესმინა რა კეთდება და რა პრობლემებია გენ.გეგმასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ხელისუფლებისთვის კრიტიკა და შენიშვნები მიუღებელია და ვერ აცნობიერებს, რომ ოპოზიციის ფუნქციაა დასვას როგორც შინაარსთან, ასევე პროცესთან დაკავშირებული კითხვები. აღნიშნა, რომ გენ.გეგმა იმდენად მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომ მის გარშემო უნდა იყოს როგორც გადაწყვეტილების მიმღებთა, ასევე პროფესიული და აკადემიური საზოგადოების კონსენსუსი. როდესაც კომპანია მერიის კონტრაქტორია, რომელმაც იმუშავა და ეტაპობრივად ჩააბარა შესრულებული სამუშაოები, თუმცა ამის შემდეგ ხდება „მაგიური რამ“, რაც ხელს უშლის სამუშაოების დასრულებას, თუმცა მიზეზს ვერავინ ხსნის და არავის აქვს არგუმენტები და ჩანს, რომ მერიასა და გენ.გეგმაზე მომუშავე ჯგუფს შორის გადაულახავი წინააღმდეგობები არ არსებობს, გამოდის რომ არსებობს დაფარული პოლიტიკური ან ფინანსური ინტერესი, რომელიც ხელს უშლის გენ.გეგმის დამტკიცებას.გიორგი გაბაშვილმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა პოზიცია, რომ გუშინდელ განხილვაზე არაფერი ყოფილა ისეთი, რომ ორშაბათს ამ ჯგუფს ჩამოერთვას გენ.გეგმაზე მუშაობის უფლება საქმე მივა კონფლიქტამდე, შესაბამისად, ფიქრობს, რომ მუშაობა უნდა გაგრძელდეს შესაბამისი

შენიშვნებით და რეკომენდაციებით და საზოგადოებას ყველა შეკითხვაზე უნდა ჰქონდეს პასუხი.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ გენ.გეგმა არის ფართო მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელსაც აქვს პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ელემენტები, თუმცა კარგი იქნება, თუ მოვაშორებთ არაჯანსაღ და მომეტებულ პოლიტიკას და მსჯელობა გაგრძელდება საქმიან ფორმატში. მისი თქმით, ეს არის სამუშაო პროცესი, განხილვა და მართლაც შენიშვნები გამოჩნდა სწორედ იმ დროს, როდესაც პროდუქტმა მიიღო საბოლოო სახე. რაც შეეხება დოკუმენტის მიღებას რაც შეიძლება მოკლე დროში, განაცხადა, რომ გენ.გეგმას ერთნაირი წარმატებით შეუძლია ქალაქში არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებაც და გაურესებაც. ამიტომ უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად და პასუხისმგებლობით სავსე, რათა მივიღოთ ისეთი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს იმ მიზნების შესრულებას, რაზეც საუბრობენ გენ.გეგმის ავტორები - შეიქმნას სტაბილური და მდგრადი განვითარების საფუძვლები.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ გენ.გეგმასთან დაკავშირებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს უმრავლესობის მიზანი თავიდანვე იყო კონსტრუქციულ რეჟიმში მუშაობა, თუმცა პირველ შეხვედრაზე ოპოზიციის წარმომადგენლებს ჰქონდათ დესტრუქციული ელემენტების შეტანის მცდელობა და მიუხედავად ამისა, შეხვედრა მაინც გაგრძელდა საქმიან რეჟიმში ისევე, როგორც ეს მოხდა გუშინ. რევაზ სოხაძემ გიორგი გაბაშვილის სიტყვებზე, რომ ოპოზიციის ფუნქციაა შეკითხვების დასმა, განაცხადა, რომ „ჩვენი ვალდებულებაა შეკითხვების დასმა, როდესაც საკითხი ეხება დოკუმენტის მიღებას და ჩვენ არ შეგვიძლია, არ მივცემთ თავს უფლებას, რომ რაიმე დოკუმენტი, რომელიც ეხება ჩვენი მოქალაქეების ხვალინდელ დღეს, მივიღოთ ისე, რომ არ დავსვათ კრიტიკული შეკითხვა და არ ვეცადოთ, რომ ყველა ეს დოკუმენტი იყოს სრულყოფილი“. მისი თქმით, ამ დღეების განმავლობაში გამოჩნდა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლებს არ აქვთ შესწავლილი გენ.გეგმის დოკუმენტი, რადგან მათ არ ჰქონიათ არც ერთი კომპეტენტური შეკითხვა, ისინი უბრალოდ ცდილობდნენ, რომ საკითხი გადაეტანათ პოლიტიკურ ჭრილში, თუმცა თბილისის მერიამ და „სითი ინსიტუტმა“ მოახერხეს რომ საკითხის განხილვა მიმდინარეობს საქმიან რეჟიმში და იმედი გამოთქვა, რომ ასეც გაგრძელდება. რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი მიღებული იქნას ისეთი გენ.გეგმა, რომელიც იქნება რეალისტური და მოქალაქეების ინტერესებზე მორგებული.

ლილე ლიპარტელიანმა, ვახტანგ შაქარიშვილის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადებებს, არამარტო ოპონენტების, არამედ საზოგადოების მიმართ „არაეთიკური და შეურაცხმყოფელი“ უწოდა. მისი თქმით, სირცხვილია, როდესაც საკრებულოს დეპუტატი გენდერულ თანასწორობას უწოდებს ფსევდოლიბერალურ ღირებულებებს და უხერხულია საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლებისგან დესტრუქციულობაზე საუბარი მაშინ, როდესაც სწორედ მათი წარმომადგენლის მხრიდან მუდმივად ისმის არაკონსტრუქციული, შეურაცხმყოფელი განცხადებები, რაც „აკნინებს საკრებულოს“. ლილე ლიპარტელიანმა მიმართა გიორგი ტყემალაძეს, რომ ვახტანგ შაქარიშვილის „უღირსი საქციელის“ გამო საზოგადოებას, საკრებულოს სახელით, მოუხადოს ბოდიში.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ მისი მხრიდან ბოდიშის მოხდა არ არის საჭირო, რადგან თავად ვახტანგ შაქარიშვილმა ამასთან დაკავშირებით გააკეთა არაერთი ღირსეული განცხადება.

ირაკლი ზარქუამ განაცხადა, რომ ვახტანგ შაქარიშვილმა უკვე გააკეთა შესაბამისი განცხადება, რაც გაიგო მთელმა საზოგადოებამ. ირაკლი ზარქუამ ისაუბრა გენ.გემაზე და აღნიშნა, რომ ის მაქიმალურად უნდა ასახავდეს არსებულ პრობლემებს, შესაბამისად, დოკუმენტი უნდა მივიღოთ არა ნაჩქარევად, არამედ თითოეული ნაბიჯი უნდა მიუთითებდეს, რომ განახლებული გენ.გეგმისგან მივიღოთ ის პროდუქტი, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს

დღეს არსებულ გამოწვევებთან, რასაც მოწმობს შეხვედრაზე დასმული კონკრეტული, არგუმენტირებული კითხვები. მისი თქმით, „დედაქალაქი მიიღებს სწორედ ისეთ გენერალურ გეგმას, რომელიც იქნება ქალაქის განვითარებისთვის ადეკვატური და მისაღები“.

ოთარ გრიგოლიას თქმით, დიდი პრობლემაა ის, რომ არც ერთ ოპოზიციურ პარტიას გენერალური გეგმის მიმართ არ გამოუთქვამს შენიშვნა, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი დოკუმენტს არც გაცნობიან და ძალიან უხერხულია, როდესაც არ იცნობ მისაღებ დოკუმენტს და მიმართა მათ, რომ მომავალში ჯერ შეისწავლონ ესა თუ ის საკითხი და შემდეგ იმსჯელონ მასზე.

ფრიდონ ინჯიამ განაცხადა, რომ გენ.გეგმა არის დოკუმენტი, რომელსაც ელოდება თბილისის ასი ათასობით მოქალაქე და სწორი იქნება, გადავდოთ პარტიული კუთვნილება და ყველა კითხვას გავცეთ პასუხი.

რამინა ბერაძემ აღნიშნა, რომ გენ.გეგმის დამტკიცებას ელოდება დედაქალაქის თითოეული მოქალაქე და შესაბამისად, მისასალმებელია მერიის ფრთხილი დამოკიდებულება, რაც გამოიხატება იმაში, რომ დოკუმენტის ავტორებს გაეგზავნათ არაერთი შენიშვნა და არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად არაერთხელ მიეცათ დამატებითი ვადა. მისი თქმით, გუშინდელი შეხვედრა იყო კონსტრუქციული, სადაც პასუხი გაეცა ყველა დასმულ შეკითხვას და სწორედ ასეთი შეხვედრებია საჭირო იმისთვის, რომ გენერალური გეგმა იყოს ისეთი, რომელიც სჭირდება დედაქალაქს. რამინა ბერაძემ განაცხადა, რომ თბილისის მერის თქმით, მთავარია მივიღოთ ისეთი დოკუმენტი, რომელიც იქნება მომდევნო 4-5 წლის სამოქმედო გეგმა და მიმართა კოლეგებს „ნუ ვუსწრებთ მოვლენებს, ყველაფერი მიდის იქით, რომ დოკუმენტი იყოს გამართული, არ იყოს ხარვეზები და ყველა დასმულ შეკითხვას გაეცეს პასუხი“.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების,

აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ.: 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: მაკა ნასრაშვილი

6. „ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

7. „განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: თამარ მათიაშვილი

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ეკა ცეცხლაძე

9. „ქ.თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელეების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.758) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

10. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N2-ში, ავთო ვარაზის ქუჩა N50-ში, ავთო ვარაზის ქუჩა N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.22.287; 72.16.22.288; 72.16.22.246; 72.16.15.770; 72.16.15.764; 72.16.15.762; 72.16.22.245; 72.16.15.765; 72.16.15.766; 72.16.15.768; 72.16.15.769; 72.16.22.247; 72.16.22.193; 72.16.15.763; 72.16.15.767) თაუნჰაუზის ტიპის საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

11. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.867; N81.02.05.868; N81.02.05.829) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

12. „ქ.თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

13. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.030) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

14. „ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ივნისის N1295028 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.333) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

15. „ქ.თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

16. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

17. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, ი.ჭავჭავაძის გამზ. N49, N49ა-ში, თამარაშვილისა და გ.წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: თამარ კაციტაძე

18. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

19. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მარია პერინის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

20. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

21. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის V გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

22. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლეო კვაჭაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

23. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ელენე გოკიელის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

24. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნატუსების სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

25. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

26. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ტყის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

27. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

28. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზამთრიანის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: თინათინ ნიბლოშვილი

მომხრე - 34

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ 2016 წლის 11 მაისს „თბილისის ავტობუსების პროექტის“ ფარგლებში, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტს და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის გაფორმდა სასესხო და საგრანტო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ავტობუსების შემოყვანა თბილისში. ამ პროექტის ფარგლებში დამატებით გამოყოფილი იქნა 280000 ევროს ოდენობის გრანტი, რომელსაც მიიღებს სატრანსპორტო კომპანია. ამასთანავე, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ განხორციელდა შესაბამისი ტენდერის ჩატარება, სადაც გამოვლინდა კომპანია, რომელიც განახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას და მასთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, მას მოთხოვნილი აქვს საჯარო ინფორმაცია ტრანსპორტის სამსახურიდან ოთხი თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ, კერძოდ, ბრძანებები, თუ რა საფუძვლით იქნენ ისინი გათავისუფლებულები დაკავებული თანამდებობებიდან, თუმცა დღემდე, ეს ინფორმაცია არ მიუღია.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ მასაც აინტერესებს აღნიშნული ინფორმაცია და მიმართა სერგო ბირკაძეს, თუ აქვს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია და თუ შესაძლებელია, გააცნოს საკრებულოს წევრებს, ხოლო თუ მისი გაჟღერება რაიმე კავშირშია ვარკეთილის მეტროში მომხდარი ინციდენტის გამოძიების დასრულებასთან, მაშინ გამოძიების დასრულების შემდეგ უზრუნველყოს აღნიშნული.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ ტენდერით გამოვლენილი კომპანია გვთავაზობს მაღალ ხარისხს, ამასთანავე, წარმოდგენილი გრანტი მოხმარდება რამდენიმე კომპონენტის გაძლიერებას, რომელთაგან აღსანიშნავია სატრანსპორტო კომპანიის ფინანსური მდგრადობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაცია. მისი თქმით, საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და კოლეგებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

სერგო ბირკაძემ ლევან ხაბეიშვილის კითხვაზე აღნიშნა, რომ თუ მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არის საჯარო და თუ კანონმდებლობით აკრძალული არ არის მისი გაცემა, აუცილებლად გამოეგზავნება.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ლევან ხაბეიშვილის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ არის საჯარო, ის არის სამსახურებრივი ინფორმაცია, რომლის მოთხოვნის უფლება აქვს საკრებულოს წევრს, ხოლო მერია ვალდებულია უზრუნველყოს აღნიშნული.

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა არ იცნობს სამსახურებრივი ინფორმაციის სახეობას, ხოლო რაც შეეხება საჯარო ინფორმაციას, ეს უკანასკნელი გაიცემა ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა სერგო ბირკაძეს, რომ საკრებულოს წევრს, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია, იქნება ის საჯარო თუ პერსონალური, უნდა მიეწოდოს.

გიორგი ტყემალაძემ კიდევ ერთხელ მიმართა სერგო ბირკაძეს, რომ საკრებულოს წევრებს, კანონმდებლობის ფარგლებში, მიაწოდოს ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების ტიპური დებულებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით გამგეობების უფლებამოსილებას ემატება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პანდუსების, სპეციალური ამწეების და ლიფტების მონტაჟის განხორციელების ფუნქცია.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ მიიღო კომპანიასთან „სი-ტი პარკი“ გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარე, რომ ამ უკანასკნელის მიერ არ შესრულდა შესაბამისი ვალდებულებები. წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ხდება კომპანიის უფლებამოსილებების გადაცემა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის“ და დაზუსტებულია, რომ 2018 წლის 10 აპრილამდე კომპანია „სი-ტი პარკის“ მიერ ადიმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის შეფარდებულ სახდელებზე და დარიცხულ საურავებზე წარმოება განხორციელდება ზემოთ აღნიშნულ თარიღამდე მოქმედი წესების შესაბამისად. ხოლო წესით მოქმედი სხვა დანარჩენი პროცედურები და დეტალები რჩება იგივე.

ლევან ხაბეიშვილი დაინტერესდა, სატრანსპორტო კომპანიის მიერ გამოწერილ საჯარიმო ქვითრებში იქნება თუ არა რაიმე უფრო ჰუმანური და ლიბერალური, ვიდრე ეს იყო კომპანია „სი-ტი პარკის“ მიერ ადმინისტრირების პროცესში, თუ ეს არის მხოლოდ ერთი კომპანიის მეორეთი ჩანაცვლება.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ჯარიმის ოდენობა და ჯარიმის გადაუხდელობის შემდგომი თანმდევი პროცესები გაწერილია სამართალდარღვევათა კოდექსით და შესაბამისად, ამ მიმართულებით ცვლილება არ არის წარმოდგენილი.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა, სატრანსპორტო კომპანიას, უფლებამოსილების განხორციელებისთვის, აქვს თუ არა შესაბამისი სპეცტექნიკა და ჰყავს თუ არა საკმარისი თანამშრომლები.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ 2018 წლის 10 აპრილის შემდეგ, პარკირების სისტემის მართვის მიმართულებით, არავითარი შეფერხება არ იქნება, რადგან სრულად მობილიზებულია, როგორც მატერიალურ-ტექნიკური, ასევე ადამიანური რესურსი.

ვახტანგ შაქარიშვილმა განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით დასრულდება ჯარიმების კომერციალიზაციის პერიოდი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან არ შეიძლება ჯარიმას ჰქონდეს კომერციული ელემენტები, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია არ ასრულებს ვალდებულებას, რომ შექმნას შესაბამისი საპარკინგე ინფრასტრუქტურა და არასამართლიან გარემოში დააჯარიმოს რაც შეიძლება მეტი ადამიანი, რათა ეს აისახოს მის შემოსავალზე.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით იცვლება მხოლოდ კომპანია, რომელიც განახორციელებს პარკირების ადმინისტრირებას. რაც შეეხება კომპანია „სი-ტი პარკთან“ ხელშეკრულების შეწყვეტას, ეს მოხდა არა იმიტომ, რომ შეიცვალოს ან შემცირდეს ჯარიმის გამოწერის წესი და ოდენობა, არამედ იმიტომ, რომ კომპანია არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ზოგადად, მუნიციპალიტეტის მიერ კერძო კომპანიებისთვის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების გადაცემა ხდება იმ მიზნით, რომ აღსრულება იყოს ეფექტური და არა კორპორატიულ ინტერესებზე დამოკიდებული. შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებით შეიცვლება ის, რომ საჯარო ინტერესი იქნება კერძო ინტერესზე მაღლა.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რას ნიშნავს ამ საქმიანობიდან გამომდინარე კომერცია და ასევე გაუგებარია ის, რომ თუ კომპანია „სი-ტი პარკი“ არ ასრულებდა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს და ამასთანავე, არასამართლიანად აჯარიმებდა მოქალაქეებს, რატომ აქამდე არ მოხდა მასთან ხელშეკრულების შეწყვეტა. ლილე ლიპარტელიანი თქმით, საზოგადოების მხრიდან ძირითადი პროტესტი იყო ავტომობილების საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანასთან დაკავშირებით და დაინტერესდა, შეიცვლება თუ არა ამ მხრივ მიდგომა, კერძოდ, ავტომობილის გადაყვანა მოხდება თუ არა შეთანხმებით და თუ მანქანის გადაყვანის პროცესში მივა მძღოლი, მისცემენ თუ არა მას შესაძლებლობას თავად გადააადგილოს საკუთარი ავტომობილი.

შალვა ოგბაიძემ განაცხადა, რომ კომერციალიზაცია გამოიხატებოდა იმაში, რომ 2009 წლის 2 თებერვლიდან თბილისის მერმა, თავისი ბრძანებით, ორგანულ კანონში შესატანი ცვლილების გარეშე, ჯარიმის დაწერის უფლება მიანიჭა კომპანია „სი-ტი პარკს“ და ორი წლის განმავლობაში გამოწერილი მილიონობით ჯარიმა, რომლებიც იყო ადმინისტრაციული ორგანოს, საპატრულო პოლიციის ფუნქცია, არის უკანონოდ ამოღებული თანხა. გარდა ამისა, კომპანია ორიენტირებული იყო, რომ როგორმე დაეჯარიმებინა რაც შეიძლება მეტი ადამიანი და საჯარიმო ავტოსადგომზე გადაეყვანა რაც შეიძლება მეტი ავტომობილი, რათა მიეღო მეტი შემოსავალი. მისი თქმით, „ეს იყო ყოვლად უნამუსო და თაღლითი ორგანიზაცია და კარგია, რომ ამას წერტილი დაესვა“.

ირაკლი ზარქუამ კომპანია „სი-ტი პარკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას „კომერციული პროექტი“ უწოდა და განაცხადა, რომ ამ კომპანიას 2009 წლიდან დღემდე, თბილისელების ხარჯზე, 44 მილიონ ლარზე მეტი აქვს მითვისებული. როდესაც საუბარია იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოქალაქისთვის ვინ დაუწერს ჯარიმას, უნდა აღინიშნოს, რომ მთავარი პრობლემა იყო უსამართლოდ გამოწერილი და შემდგომ სასამართლოს გადაწყვეტილებებით ათასობით გაბათილებული ჯარიმა. მისი თქმით, დაჯარიმებული იქნება ნებისმიერი ადამიანი, ვინც დაარღვევს წესებს, თუმცა აღარავის ექნება უსამართლობის განცდა და რაც მთავარია, ჯარიმის გამომწერი ორგანიზაცია არ იქნება ორიენტირებული მოგებაზე.

თამარ ტალიაშვილმა განაცხადა, რომ არალოგიკურია ისეთი ხელშეკრულების გაფორმება, როდესაც კომპანიას, ერთის მხრივ, აკისრია სატრანსპორტო და საპარკინგე ინფრასტრუქტურის გააუმჯობესების ფუნქცია იმისთვის, რომ შემცირდეს დარღვევები და მეორეს მხრივ, მისი შემოსავალი დამოკიდებული იყოს ჯარიმების რაოდენობაზე. ხოლო

წლების განმავლობაში ჩვენ ვხედავდით დამოკიდებულებას, რომ საპარკინგე ინრასტრუქტურა ყოფილიყო რაც შეიძლება მოუწესრიგებელი იმისთვის, რომ ჯარიმების რაოდენობა ყოფილიყო მაღალი და კომპანიას ჰქონოდა რაც შეიძლება მეტი შემოსავალი, რაც იყო „ძალიან დიდი უსამართლობა“.

დავით უთმელიძემ განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით შეიცვლება ის, რომ მოწესრიგდება საპარკინგე ინფრასტრუქტურა. რაც შეეხება ავტომობილის გადაყვანას აღნიშნა, რომ თუ ავტომობილი კეტავს გზის სავალ ნაწილს, მისი გადაყვანის ვალდებულება აქვს ნებისმიერ კომპანიას, იქნებოდა ეს „სი-ტი პარკი“ თუ სხვა, ხოლო, სხვა შემთხვევაში, არსებობდა სანქციები, რომელსაც „სი-ტი პარკი“ არასდროს იყენებდა, რადგან საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანის შემთხვევაში, სრული თანხა ირიცხებოდა კომპანიის ბიუჯეტში.

გიორგი ბირბიჩაძემ განაცხადა, რომ თბილისის სატრანსპორტო კომპანია „სი-ტი პარკისგან“ განსხვავებით, ორიენტირებული იქნება არა მოქალაქეების დაჯარიმებაზე, არამედ საპარკინგე ინფრასტრუქტურის და წესების მოწესრიგებაზე.

ლილე ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ არ აქვს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების იმედი, რადგან ბიუჯეტში არ არის ამისთვის განკუთვნილი თანხა, ხოლო რაც შეეხება მის მიერ დასმულ კითხვას, განმარტა, რომ თუ ავტომობილი არ კეტავს გზის სავალ ნაწილს მისი საჯარიმო სადგომზე გადაყვანის უფლება არ აქვს არც საპატრულო პოლიციას და არც კომპანია „სი-ტი პარკს“ ჰქონდა, თუმცა აკეთებდა და დაინტერესდა, ასეთ შემთხვევაში, როგორი იქნება სატრანსპორტო კომპანიის მიდგომა - არასწორი დგომა-გაჩერების გამო იქნება თუ არა ავტომობილი გადაყვანილი საჯარიმო ავტოსადგომზე.

ლევან ხაბეიშვილმა აღნიშნა, რომ კომპანია „სი-ტი პარკის“ მიერ დაწერილი ჯარიმის პირველადი გასაჩივრება ხდებოდა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და დაინტერესდა მერიის მიერ გაუქმებული ჯარიმების ოდენობით. მისი თქმით, ეს სტატისტიკა საინტერესოა იმის გასარკვევად, თუ ვის ანიჭებდა უპირატესობას მერია - მოქალაქეს თუ კომპანიას.

სერგო ბირკაძემ აღნიშნა, რომ იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ როგორ მოიქცევა სატრანსპორტო კომპანია კონკრეტული სამართალდარღვევის შემთხვევაში, შეუძლებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის იხელმძღვანელებს კანონმდებლობით, სადაც გაწერილია თუ რა გადაცდომას რა რეაგირება უნდა მოჰყვეს ადიმინისტრირების თვალსაზრისით. ნებისმიერი ადამიანის მიერ სატრანსპორტო წესების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია მიიღებს სამართლებრივად სწორ გადაწყვეტილებას. სერგო ბირკაძემ, კითხვაზე თუ ვინ უკეთ განახორციელებს პარკირების სფეროში ადმინისტრირებას, კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ კომპანია „სი-ტი პარკთან“ ხელშეკრულება გაწყვიტა იმ მიზეზით, რომ კომპანიის მიერ არ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. რაც შეეხება გასაჩივრების სტატისტიკას, განაცხადა, რომ ბევრი გადაწყვეტილება იყო მიღებული ჯარიმების გაუქმების შესახებ, თუმცა კონკრეტული სტატისკის შესახებ ინფორმაცია არ აქვს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

4. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-96 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით სამშენებლო საქმიანობისას, უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში, მოხდება შემოწმების აქტის გამოწერა და შემდგომ დაჯარიმება. შემოწმების აქტის გამოცემა მოხდება ასევე, სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების პროცესში გაცემული რეკომენდაციის შეუსრულებლობისას.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა ითვალისწინებს თუ არა წარმოდგენილი ცვლილებები ადამიანური რესურსის დამატებას და თუ ითვალისწინებს, რამდენი თანამშრომლის დამატება გახდება საჭირო.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ ზედამხედველობის საქალაქო სამსახური დღესაც ახორციელებს უსაფრთხოების ნორმების კონტროლს, შესაბამისად, სამსახურისთვის ფუნქციის დამატება არ ხდება და არ ითვალისწინებს ამ მიმართულებით საშტატო რიცხოვნობის გაზრდას. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ დედაქალაქში მიმდინარე სამშენებლო საქმიანობის მასშტაბებს და იმას, რომ ზედამხედველობა უნდა განხორციელდეს სწორად და ეფექტურად, თბილისის მერია მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, გამოყოს ნებისმიერი რესურსი, რათა უზრუნველყოფს ზედამხედველობის მიმართულებით სწორი მართვის და პოლიტიკის ჩამოყალიბება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისის ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის“ (ს/კ.: 202056069) ლიკვიდაციის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა მაკა ნასრაშვილმა და განმარტა, რომ წლების მანძილზე ფილკლორის სასახლეში ფუნქციონირებს ორი დაწესებულება: მუნიციპალური ა(ა)იპ და კულტურის სამინისტროს სსიპ. იქიდან გამომდინარე, რომ იყო შტატების დუბლირება, მიღებული იქნა ფოლკლორის სასახლის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება, მის ფუნქციებს შეითავსებს ანსამბლი „რუსთავი“, ხოლო ბიუჯეტი გადანაწილდება კულტურის სამსახურის ეკონომიების ნაწილში.

თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ ფოლკლორი არის მთელი ქვეყნის მონაპოვარი და წარმოდგენილი გაერთიანებით ეს მიმართულება უფრო გაძლიერდება.

ლილე ლიპარტელიანი დაინტერესდა იმავე შენობაში განაგრძობს თუ არა ფუნქციონირებას ზემოთაღნიშნული სსიპ და ვის ბალანზე იქნება შენობა.

მაკა ნასრაშვილმა განმარტა, რომ სსიპ ფუნქციონირებას განაგრძობს იმავე შენობაში, რომელიც არის და დარჩება თვითმმართველის საკუთრებაში და სარგებლობის უფლებით გადაეცემა კულტურის სამინისტროს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

6. „ქ.თბილისში, ფონიჭალის დასახლების IV მიკრორაიონში კორპუსი N11-ში (საკადასტრო კოდი: 01.18.13.037.026) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N55 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ ცვლილებით ხდება სამი ადამიანის ამოღება იმ სიიდან, რომლებსაც ქონება გადაეცა პირდაპირი განკარგვის წესით.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი არის საკითხი, რომლის საკრებულოს სხდომაზე განხილვისას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ შენობა არ იყო გადახურული და იქ არც ხანგრძლივად ცხოვრების ფაქტი დასტურდებოდა, თუმცა საკრებულომ, ქონების გადაცემასთან დაკავშირებით, მიიღო დადებითი გადაწყვეტილება.

თამარ მათიაშვილმა განმარტა, რომ კულტურის სამინისტრომ, 2010 წელს, დევნილთა და განსახლების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, განახორციელა აღნიშნული ქონების რეგისტრაცია, როგორც დასრულებული შენობის. შესაბამისად, ამონაწერი იყო სრულყოფილი, როგორც არსებობს ინდივიდუალური საკუთრების შემთხვევაში, რის შემდეგაც მოსახლეობის და გამგეობის მიერ გაკეთდა შუამდგომლობა.

გიორგი ტყემალაძემ მიმართა თამარ მათიაშვილს, რომ მისი განმარტება მიუღებელია, რადგან როდესაც საკრებულოს წევრი ასახელებს კონკრეტულ პრობლემას, ხოლო მერიის წარმომადგენელი საკითხის დეტალური შესწავლის გარეშე, ადასტურებს, რომ პრობლემა არ არის, ეს არის უყურადღებობა და ასეთი ფაქტის წინაშე საკრებულო არ უნდა დადგეს. მისი თქმით, გამგეობაც და ქონების მართვის სააგენტოც ვალდებულია ნებისმიერი საკითხი შეისწავლოს დეტალურად და საკითხის გარშემო არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას მიაქციოს მაქსიმალური ყურადღება და გადაამოწმოს. გიორგი ტყემალაძემ აქვე ისაუბრა საკრებულოს წევრების ინიციატივაზე, რომ ქონების გადაცემასთან დაკავშირებით მიღებული იქნას წესი. მისი თქმით, ქონების გადაცემა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ათეულობით წლებია ფლობენ ამა თუ იმ ფართს, არის კეთილი ნება და როგორც კი მიეცემა წესის სახე, პროცესი ვეღარ შეჩერდება, ადამიანები ჩათვლიან, რომ ეს არის ვალდებულება, მათ შორის პრობლემური საკითხები და იქნება უამრავი სასამართლო პროცესი. თუმცა, აუცილებლად უნდა იყოს გარკვეული შეთანხმება, თუ რა აუცილებელი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ქონების გადაცემა.

ირაკლი ზარქუამ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის კომპეტენცია და განაცხადა, რომ ეს იყო ცალკეული სამსახურების მიერ დაშვებული შეცდომა და იმისთვის, რომ მსგავსი აღარ განმეორდეს, ასეთ საკითხებზე მომუშავე თითოეული ადამიანი საქმეს უნდა მიუდგეს დიდი ყურადღებით და პასუხისმგებლობით.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

7. „განსაზღვრული მიწის ნაკვეთების ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებად რეგისტრაციის, გამიჯვნის და განსაზღვრული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისა და უსასყიდლო უზუფრუქტის შეწყვეტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 2012 წლის 4 აპრილის N10.46.343 დადგენილების დანართი 4-ით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულების განწილვადების და აღნიშნულის შეუსრულებლობის გამო დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ქონების მართვის სააგენტოს“ წარმომადგენელმა თამარ მათიაშვილმა და განმარტა, რომ საიჯარო ქირის გადაუხდელობა მომდინარეობს 2015 წლიდან, რასაც დაერიცხა პირგასამტეხლო. იქიდან გამომდინარე, რომ შპს ვერ ახერხებს ერთიანი თანხის გადახდას, ითხოვს მის განაწილებას ექვს წელზე და იმ პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებას, რომელიც ამ გადაუხდელ თანხას უნდა დაერიცხოს მომავალში.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

8. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ეკა ცეცხლაძემ.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე წარმოდგენილ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიებს მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 1

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 27

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

9. „ქ.თბილისში, სოფელ თხინვალაში, „თელეების მიწა“-ზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.15.758) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

10. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელ თხინვალაში, თხინვალას ქუჩა N2-ში, ავთო ვარაზის ქუჩა N50-ში, ავთო ვარაზის ქუჩა N58-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N72.16.22.287; 72.16.22.288; 72.16.22.246; 72.16.15.770; 72.16.15.764; 72.16.15.762; 72.16.22.245; 72.16.15.765; 72.16.15.766; 72.16.15.768; 72.16.15.769; 72.16.22.247; 72.16.22.193; 72.16.15.763; 72.16.15.767) თაუნჰაუზის ტიპის საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილ ტერიტორიაზე მშენებლობა ნაწილობრივ დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ორი მიწის ნაკვეთი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 30

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

11. „ქ.თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ტაბახმელა, სოფელ ტაბახმელაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.05.867; N81.02.05.868; N81.02.05.829) ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია სამი ინდივიდულური საცხოვრებელი სახლის განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

12. „ქ.თბილისში, სოფელ ზემო ლისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.16.17.427) საწარმოო ობიექტის (საწყობის) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული.

13. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩა N27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.030) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ დაგეგმილია ფარმაცევტული სასაწყობე კომპლექსის განაშენიანება.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 28

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

14. „ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 ივნისის N1295028 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქ. N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.03.040.333) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაცემული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ და განმარტა, რომ ერთი მიწის ნაკვეთის დამატებით იცვლება ფართობი და ფუნქცია, კერძოდ, ემატება საბავშვო ბაღის და საოფისე შენობები.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

15. „ქ.თბილისში, ბოჭორიშვილის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 2

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 24

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

16. „ქ.თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩაზე, სოფელ შინდისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 3

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 25

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

17. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, გ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის გამზირის კუთხეში ფიზკულტურის ინსტიტუტის მიმდებარედ, ი.ჭავჭავაძის გამზ. N49, N49ა-ში, თამარაშვილისა და გ.წერეთლის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 0

თავი შეიკავა - 4

წინააღმდეგი - 24

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

18. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ჯამბულ წურწუმიას ქუჩასთან მდებარე ორი უსახელო შესახვევისთვის ჯამბულ წურწუმიას I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

19. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, მარია პერინის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მარია პერინის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

20. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, მიხაკო წერეთლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის მიხაკო წერეთლის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

21. „ქ.თბილისში, საბურთალოს რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო გასასვლელისთვის ლეო კვაჭაძის V გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

22. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლეო კვაჭაძის II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

23. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ელენე გოკიელის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ელენე გოკიელის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

24. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ნიკოლოზ ტიხონოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნატუსების სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ტოპონიმი არის ნასოფლარის სახელწოდება, რომელიც ამჟამად ტყით არის დაფარული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

25. „ქ.თბილისში, გლდანის რაიონში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის გრიგოლ ხანძთელის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

26. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ჩიხისთვის ტყის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ სახელდება შერჩეული იქნა იქიდან გამომდინარე, რომ ქუჩა მდებარეობს ხუდადოვზე არსებული ტყის მიმდებარედ.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

27. „ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, ალიოშა ჯაფარიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ოთხი შესახვევისთვის ქვიშიანის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ტოპონიმური სახელწოდება შეირჩა ტერიტორიის ძველი სახელწოდებიდან გამომდინარე.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

28. „ქ.თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, იოსებ ჟორდანიას ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზამთრიანის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილმა და განმარატა, რომ სახელწოდება შეირჩა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიული აღწერის“ მიხედვით, რომლის თანახმად, ზამთრიანი მდებარეობს დღევანდელი ივერთუბნის ტერიტორიაზე და წარმოადგენს ისტორიულ ტოპონიმს.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება ერთხმად იქნა მიღებული.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 3 დადგენილება და 21 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი